რომელიმე საზოგადოება თუ შეიკრიბება სადმე და ამ შეკრების ადგილას არც ალლაჰს ახსენებენ და არც მათ შუამავალს დალოცავენ, ეს იქნება მათთვის სინანული, თუ ინებებს ალლაჰი დასჯის და თუ ინებებს აპატიებს მათ

გადმოცემულია აბუ ჰურაირასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «რომელიმე საზოგადოება თუ შეიკრიბება სადმე და ამ შეკრების ადგილას არც ალლაჰს ახსენებენ და არც მათ შუამავალს დალოცავენ, ეს იქნება მათთვის სინანული, თუ ინებებს ალლაჰი დასჯის და თუ ინებებს აპატიებს მათ».

[სანდო (საჰიჰ)] [رواه أبو داود والترمذي والنسائي في الكبرى]

შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გააფრთხილა ალლაჰის ხსენებაში უგულისყურობაზე, და როდესაც რომელიმე საზოგადოება სადმე ჩამოსხდებიან და იქ უზენაეს ალლაჰს არ ახსენებენ, და არ დალოცავენ მის შუამავალს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას), ეს შეკრება მათთვის იქნება როგორც მწუხარება, სინანული, დანაკარგი და დანაკლისი განკითხვის დღეს, და თუ ალლაჰი ინებებს დასჯის მათ, მათი ჩადენილი ცოდვების და წარმძღვარებული დარღვევების გამო, ან თუ ინებეს მიუტევებს მათ მისი მადლით და წყალობით.

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/5511